ჩრდილო ატლანტიური საბჭოს განცხადება **რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შესახებ**

ჩრდილო ატლანტიური საბჭო გმობს რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებას საქართველოს რეგიონების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შესახებ და მოუწოდებს რუსეთს გააუქმოს მისი ეს გადაწყვეტილება.

რუსეთის გადაწყვეტილება არღვევს გაეროს უშიშროების საბჭოს მრავალ რეზოლუციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ, რომლებიც მას დადასტურებული აქვს. აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამება ეუთოს ძირეულ პრინციპებს, რასაც ევროპის სტაბილურობა ეფუძნება. რუსეთის მოქმედებებმა ეჭვქვეშ დააყენა მისი განცხადებები კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოებისადმი ერთგულების შესახებ.

საქართველოს აღდგენა, უსაფრთხოება და სტაბილურობა მნიშვნელოვანია ალიანსისთვის. ნატო მოუწოდებს რუსეთს პატივი სცეს საქართველოს ტრიტორიულ მთლიანობას და შეასრულოს პრეზიდენტ სააკაშვილის და პრეზიდენტ მედვედევის მიერ ხელმოწერილი ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების საფუძველზე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

* აღნიშნულ საკითხზე პრეზიდენტ სარკოზის განმარტებებისა და კორესპონდენციის მიხედვით.

2008 წლის 27 აგვისტო.

(http://www.nato.int/cps/en/natolive/news_43517.htm)